

როჯერ სკრუტონი

ახალი ფილოსოფიის
მოკლე ისტორია
დეკარტიდან ვიბგენსტაინამდე

როჯერ სკრუტონი
ახალი ფილოსოფიის მოკლე ისტორია
დეკარტიდან ვიტგენშტაინამდე

Roger Scruton
A SHORT HISTORY OF MODERN PHILOSOPHY
From Descartes to Wittgenstein

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

რედაქტორი ლალი ქადაგიძე

© Roger Scruton 1981, 1984, 1995

All rights reserved.

Authorised translation from the English language edition published by
Routledge, a member of the Taylor & Francis Group

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-905-7

www.diogene.ge

სარჩევი

შესავალი	7
1. ფილოსოფიის ისტორია და იდეათა ისტორია.....	7
2. თანამედროვე ფილოსოფიის წარმოშობა.....	20
პირველი ნაწილი – რაციონალიზმი	37
3. დეკარტი.....	37
4. კარტეზიანული რევოლუცია.....	52
5. სპინოზა.....	65
6. ლაიბნიცი.....	89
მეორე ნაწილი – ემპირიზმი	107
7. ლოკი და ბერკლი.....	107
8. მორალური მეცნიერების იდეა.....	140
9. ჰიუმი.....	159
ნაწილი მესამე – კანტი და იდეალიზმი	181
10. კანტი I: წმინდა გონების კრიტიკა.....	181
11. კანტი II: ეთიკა და ესთეტიკა.....	196
12. ჰეგელი.....	220
13. გავლენები: შოპენჰაუერი, კირკეგორი და ნიცშე.....	242
ნაწილი მეოთხე – პოლიტიკური ტრანსფორმაცია	263
14. პოლიტიკური ფილოსოფია ჰობსიდან ჰეგელამდე.....	263
15. მარქსი.....	286
16. უტილიტარიზმი და შემდგომ.....	306
ნაწილი მეხუთე – უახლესი ფილოსოფია	325
17. ფრეგე.....	325
18. ფენომენოლოგია და ეგზისტენციალიზმი.....	344
19. ვიტგენშტაინი.....	368

შესავალი

1. ფილოსოფიის ისტორია და იდეათა ისტორია

წინამდებარე წიგნის საგანია „ახალი“ ფილოსოფია. ვიზიარებ გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ ახალი ფილოსოფია დეკარტისგან იწყება და ის ვიტგენშტაინის ნაშრომებში ასახულმა უმნიშვნელოვანესმა იდეებმა დააგვირგვინა. იმედი მაქვს, გარკვეულწილად დავასაბუთებ ამ ვარაუდებს, მაგრამ ჩემი ძირითადი მიზანია, ლაკონურად აღვწერო თანამედროვე დასავლური ფილოსოფია, რამდენადაც თემა ამის საშუალებას მომცემს.

შევეცდები, წიგნის შინაარსი გასაგები იყოს იმათთვისაც, ვინც საგანგებოდ არაა გაათვითცნობიერებული თანამედროვე ანალიზური ფილოსოფიის სფეროში. სამწუხაროდ, ფილოსოფიის არსის მოკლედ დახასიათება ძალზე ძნელია; ერთადერთი, რაშიც ამგვარი მცდელობისას ავტორი შეიძლება დარწმუნებული იყოს, ისაა, რომ პასუხი კითხვაზე „რა არის ფილოსოფია?“ მით უფრო დამაჯერებელი იქნება, რაც უფრო მოკლედ ჩამოყალიბდება. რაც მეტს ვფიქრობ შეზღუდვებზე, რომლებსაც ნებისმიერი არგუმენტირებული პასუხი გულისხმობს, მით მეტად ვიხრები დასკვნისკენ, რომ ეს საკითხი, თავისთავად, ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი მთავარი საგანია. ცხადია, ფილოსოფიის არსის ქვემოთ წარმოდგე-

ნილი დახასიათება იმ სპეციფიკურ ფილოსოფიურ თვალსაზრისს ასახავს, რომლის მართებულობაში ეჭვი არ მეპარება და მის ღირსებას მკითხველის თვალში უნდა წარმოადგენდეს ფაქტი, რომ ეს თვალსაზრისი მკითხველის თანამედროვე ფილოსოფოსის მიერაა შემუშავებული.

ფილოსოფიის არსის გააზრებისას უნდა გავითვალისწინოთ დაპირისპირება, რომელიც მეცნიერებასა და თეოლოგიას შორის შეიმჩნევა. მარტივად რომ ვთქვათ, მეცნიერება ემპირიული კვლევების სფეროა; მეცნიერება ცდილობს, გაიაზროს ხილული სამყარო, წინასწარ განსაზღვროს და განმარტოს თვალსაჩინო მოვლენები და ჩამოაყალიბოს „ბუნების კანონები“ (თუკი ასეთები არსებობს), რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ადამიანის გამოცდილების განმარტება. ნებისმიერ მეცნიერებას შეუძლია, დასვას უამრავი კითხვა, რომლებზეც პასუხს ვერ გასცემს კვლევის საკუთარი მეთოდებით და ამგვარად, თავის უძლურებას გამოააშკარავებს. განვიხილოთ კითხვა, რომელიც ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით დასმულა: „რა იყო ამის მიზეზი?“. სავარაუდოდ, მეცნიერული პასუხი შემუშავდება წინამორბედი მოვლენებისა და პირობების, ასევე, გარკვეული კანონების ან ჰიპოთეზების გათვალისწინებით, რომლებიც განსამარტავ მოვლენას იმ მოვლენებთან აკავშირებს, რომელთა საფუძველზეც ის უნდა განიმარტოს. მაგრამ იგივე კითხვა, შეიძლება, იმ სხვა მოვლენებზეც დაისვას და თუ პასუხი ისეთივე იქნება, მაშინ – ყოველ შემთხვევაში, პოტენციურად – მიზეზების რაოდენობა უსასრულოდ მოიმატებს და უსასრულო წარსულსაც მოიცავს. ასეთი შესაძლებლობის გათვალისწინებისას, შეიძლება, დაისვას მომდევნო კითხვა: „რა აიძულებს მოვლენათა ამ მწკრივს, რომ, საერთოდ, იარსებოს?“ ან, უფრო აბსტრაქტულად: „რატომ უნდა არსებობდეს რამენაირი მოვლენები?“: არა უბრალოდ, რატომ უნდა არსებობდეს ესა თუ ის მოვლენა, არამედ რატომ არსებობს რამე? არსებითად, მეცნიერული კვლევა, რომელსაც არსებულიდან ამ არსებულის განმარტებისკენ მივყავართ, საგნების არსებობას გულისხმობს. შედეგად,

ის ვერ გადაწყვეტს ამ უფრო აბსტრაქტულ და რთულ საკითხს. ეს კითხვა თითქოს სცდება ემპირიული კვლევის საზღვრებს და, იმავედროულად, ბუნებრივად გამომდინარეობს მისგან. მეცნიერება, თავისთავად, პასუხს არ იძლევა, მაგრამ მაინც თითქოს აზრსმოკლებული არაა ვარაუდი, რომ ასეთი პასუხი შეიძლება არსებობდეს.

მეცნიერება განუწყვეტლივ სვამს კითხვებს, რომლებზე პასუხის გაცემაც არ ძალუძს. ამგვარ კითხვებს „მეტაფიზიკურს“ უწოდებენ. ისინი ფილოსოფიის საგანგებო და განუყოფელი ნაწილია. ახლა, ზემოხსენებული კონკრეტული მეტაფიზიკური პრობლემის განხილვისას, ადამიანებს შეუძლიათ, თეოლოგიის ავტორიტეტულ სისტემას მიმართონ. მათ შეუძლიათ, იპოვონ პასუხი, თუ აღიარებენ ღმერთს, როგორც ყოველივე არსებულის პირველსაწყისსა და საბოლოო მიზანს. მაგრამ თუ მათ, უბრალოდ, სწამთ ღმერთი, მაშინ ეს რწმენა არავითარ გონივრულ ავტორიტეტს არ გულისხმობს, გარდა იმისა, რომელიც შეიძლება გამოცხადებას მივანეროთ. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც რწმენით იფარგლება და არ ფიქრობს, რამდენად დასაბუთებულია ის, გარკვეულწილად, ფილოსოფიითაა შეიარაღებული. ის იზიარებს მეტაფიზიკურ დოქტრინას, მაგრამ ამ უკანასკნელს დოგმატურად ადასტურებს: მისთვის ეს არც დასაბუთებული არგუმენტიდან გამომდინარე დასკვნაა და არც მეტაფიზიკურ სპეკულაციათა შედეგი. ესაა, უბრალოდ, საყოველთაოდ მიღებული იდეა, რომლის ინტელექტუალური ფასეულობა ისაა, რომ მეტაფიზიკურ იდეამალ კითხვებზე იძლევა პასუხს, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს: ავტორიტეტულობას არ მატებს იმ პასუხებს, რომლებსაც საწყისი დოგმატური ვარაუდი არ შეიცავდა.

თეოლოგიის რაციონალურად განმარტების ნებისმიერი მცდელობა ფილოსოფიური აზროვნების ფორმაა, რადგან თეოლოგია პასუხს იძლევა მეტაფიზიკურ კითხვებზე. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ თუმცა თეოლოგია თავისთავად ფილოსოფია არ არის, თეოლოგიის შესაძლებლობის საკითხი ძირითადი ფილოსოფიური საკითხი იყო და, გარკვეულწილად, ასეთად რჩება კიდევ.

ზემოსხნებულ მეტაფიზიკურ კითხვათა გარდა, არსებობს სხვა კითხვებიც, რომლებიც *prima facie* თითქოს, შეიძლება, ფილოსოფიურ კითხვებად მივიჩნიოთ. კერძოდ, დაისმის კითხვები მეთოდის შესახებ, რომელთა ტიპური ნიმუშებია ორი კვლევა: ეპისტემოლოგია (შემეცნების თეორია) და ლოგიკა. როგორც მეცნიერული კვლევა შეიძლება მივმართოთ უკან, იმ ნერტილისკენ, სადაც ის მეტაფიზიკად იქცევა, ისე მისი საკუთარი მეთოდი შეიძლება საეჭვო გახდეს და არაერთხელ გახდეს საჭირო თითოეული კონკრეტული დებულების დასაბუთება. ამგვარად, მეცნიერება აუცილებლად მიიჩნევს ლოგიკისა და ეპისტემოლოგიის კვლევას და თუ ვიტყვით, რომ ამ კვლევათა შედეგად მიღებული დასკვნები ზედაპირული ან უაზროა, ან რომ მათ კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, ეს, თავისთავად, ფილოსოფიური თვალსაზრისია, რადგან ისევე საჭიროებს არგუმენტაციას, როგორც ნაკლებად სკეპტიკური ალტერნატივები.

მეტაფიზიკის, ლოგიკისა და ეპისტემოლოგიის კვლევებს უნდა დავამატოთ ეთიკის, ესთეტიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროებში განხორციელებული კვლევები, რადგან აქაც, როგორც კი ჩვენნი აზროვნების საფუძვლის ანალიზს ვინწყებთ, ვამჩნევთ, რომ აბსტრაქციის ისეთი დონეებისკენ ვიხრებით, სადაც ვერავითარი ემპირიული კვლევა ვერ მოგვცემს დამაკმაყოფილებელ პასუხს. მაგალითად, თითოეულმა ადამიანმა იცის, რომ ქურდობის ამკრძალველი მორალური პრინციპის დაცვა გულისხმობს ქურდობისგან თავის შეკავებას თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ ცხადია, რომ, როდესაც მშვიერი ადამიანი პურს ჰპარავს იმას, ვისაც ეს პური არ სჭირდება, ეს მოქმედება განსხვავდება იმ შემთხვევისგან, როდესაც მდიდარი ადამიანი ჰპარავს ძვირად ღირებულ ქონებას სხვა ადამიანს. მაგრამ რატომ მივიჩნევთ ამ შემთხვევებს განსხვავებულ შემთხვევებად, რამდენად ეთანხმება ასეთი დამოკიდებულება, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია, პირველსაწყის პრინციპს და როგორ უნდა გავამართლოთ თვით ეს პრინციპი? ყველა ამ კითხვას საგანგებო ფილოსოფიურ სფეროებთან მიეყვართ. მორალის, სამართლისა და პოლიტიკის სფეროები, თავისთავად, უკან

მოგვრჩება და აღმოვაჩინებ, რომ აბსტრაქციებისკენ ვიხრებით, ხშირად კი ვეჭვობთ, რომ ეს აბსტრაქციები, შეიძლება, საკმარისი იყოს შეხედულებათა სისტემის გასამართლებლად და სურვილი გვიჩნდება, თეოლოგიის დოგმებში ვეძებოთ თავშესაფარი.

მაშ, რით გამოიჩინება ფილოსოფიური აზროვნება? კითხვებს, რომლებსაც ფილოსოფოსები სვამენ, ორი ნიშან-თვისება აქვს, რომლებიც მათი დახასიათებისას უნდა გავითვალისწინოთ: აბსტრაქცია და ჭეშმარიტების ძიება. აბსტრაქციაში დაახლოებით შემდეგს ვგულისხმობ: ფილოსოფიური კითხვები დაისმის ყველა სხვა სახის კვლევის შემდეგ, როდესაც ცალკეული საგნების, მოვლენებისა და პრაქტიკული სიძნელების საკითხები ხელმისაწვდომი მეთოდებითაა გადაწყვეტილი და როდესაც საეჭვოდ მივიჩნევთ ან თვით ამ მეთოდებს, ან მათ მიერ ნაგულისხმევ რომელიმე მეტაფიზიკურ დოქტრინას. ამიტომ ფილოსოფიური პრობლემები, ისევე, როგორც მათ გადასაჭრელად განკუთვნილი სისტემები, იმ ცნებების მეშვეობით ყალიბდება, რომლებიც შეეხება არა სინამდვილის, არამედ შესაძლებლისა და აუცილებლის სფეროს: იმას, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო და უნდა მომხდარიყო და არა – არსებულს.

მეორე ნიშან-თვისება – ჭეშმარიტების ძიება – შეიძლება, იმდენად თვალსაჩინოა, რომ მისი მოხსენიებაც კი არ ღირდეს, მაგრამ სინამდვილეში მას ადვილად ვივინყებთ, ხოლო როდესაც ვივინყებთ, ფილოსოფია, შესაძლოა, რიტორიკად გადაგვარდეს. ფილოსოფიის მიერ დასმული კითხვები, შეიძლება, უჩვეულო იყოს, რადგან მათზე პასუხები არ არსებობს – ზოგიერთი ფილოსოფოსი იძულებული იყო, ასე ეფიქრა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს კითხვებია, ამიტომ ნებისმიერი პასუხი უნდა შეფასდეს და მათი ჭეშმარიტება ან მცდარობა დასაბუთდეს. თუ პასუხები არ არსებობს, მაშინ ყველა სავარაუდო პასუხი მცდარია. მაგრამ თუ ვინმე პასუხს გვთავაზობს, მან სათანადო არგუმენტები უნდა წარმოადგინოს, რათა ამ პასუხის ჭეშმარიტება ვერნაწიანო.

წინამდებარე წიგნში რამდენიმე ავტორსა და ფილოსოფიურ სკოლას განვიხილავთ. ისინი ემყარებოდნენ ეგრეთ წოდებულ „მე-

ტაფილოსოფიას“, ესე იგი ფილოსოფიის თეორიას, რომელმაც უნდა განმარტოს, როგორ შეიძლება არსებობდეს ინტელექტუალური დისციპლინა, რომელიც მთლიანად აბსტრაქტულია და, იმავდროულად, ჭეშმარიტების ძიებას ეძღვნება. ასეთი მეტაფილოსოფიები, ჩვეულებრივ, ერთ-ერთ (ორიდან) სახეობას მიეკუთვნება, იმის მიხედვით, რას მიიჩნევენ ისინი ფილოსოფიური აზროვნების მიზნად – სპეკულაციასა თუ ანალიზს.

ზოგიერთები, პითაგორასა და პლატონის კვალობაზე, ამბობენ, რომ ფილოსოფია აბსტრაქტული ხასიათისაა იმის გამო, რომ სპეკულაციურად შეისწავლის აბსტრაქტულ საგნებს, კერძოდ, გარკვეულ ობიექტებს ან გარკვეულ სამყაროებს, რომლებიც გამოცდილებისთვის მიუწვდომელია. ამგვარი ფილოსოფიები, სავარაუდოდ, დააკნინებენ ემპირიული კვლევების როლს და განაცხადებენ, რომ მათ მხოლოდ ნახევრად ჭეშმარიტ დასკვნებამდე მივყავართ, რადგან მხოლოდ საგნებისა და მოვლენების მოჩვენებით მხარეს შეისწავლიან, მაშინ, როდესაც სპეკულაციური ფილოსოფიის უდიდეს ღირსებას წარმოადგენს აუცილებლობის სფეროს მიღწევა, სადაც სამყაროს ჭეშმარიტი შინაარსის (ან ჭეშმარიტი სამყაროს შინაარსის) წვდომა ხდება შესაძლებელი. სხვების აზრით, ფილოსოფია აბსტრაქციას აღწევს არა იმის გამო, რომ რომელიღაც სხვა, უფრო ამაღლებულ სამყაროს განიხილავს, არამედ იმიტომ, რომ მისი ჩვეულებრივი ამოცანა ინტელექტუალური კრიტიკაა, რისთვისაც შეისწავლის აზროვნების ჩვენთვის დამახასიათებელი ფორმების მეთოდებსა და მიზნებს მათი საზღვრებისა და მართლზომიერების გასარკვევად. ამ მეორენაირი მიდგომის თანახმად, აბსტრაქცია, უბრალოდ, კერძობითის აბსტრაქცირებაა; ეს არაა რაღაც სხვის, კერძოდ, ყოფიერების რომელიღაც სხვა სფეროსადმი აბსტრაქცირება. რაც შეეხება ჭეშმარიტებისკენ ლტოლვას, ესაა განშტოება სურვილისა, განისაზღვროს ის, რის წვდომაც შესაძლებელია, რაც შეიძლება დამტკიცებულ იქნეს: ფილოსოფიური ჭეშმარიტება – ეს, უბრალოდ, ჭეშმარიტებაა ადამიანის აზროვნების უნარის საზღვრების შესახებ.

ეს ანალიზური ან კრიტიკული ფილოსოფია, რომელიც ყველაზე ავტორიტეტულად კანტის ნაშრომებშია ხორცშესხმული, XX საუკუნის განმავლობაში ინგლისურ-ამერიკულ ფილოსოფიაშიც იყო გაბატონებული „კონცეპტუალური“ ან „ლინგვისტური“ ანალიზის საგანგებო ფორმით, მაგრამ საგნის ისტორია ააშკარავებს, რომ ფილოსოფიის საკითხებში ანალიზი, როგორ მაღალ შეფასებასაც უნდა იმსახურებდეს, ყოველთვის წარმოშობს სინთეზისა და სპეკულაციისკენ სწრაფვას. როგორ ვინროდაც უნდა გვეჩვენებოდეს, ერთი შეხედვით, კონკრეტული ფილოსოფია, როგორ უბრალო სიტყვიერ თამაშად ან მარტივ ლოგიკურად აზროვნებადაც უნდა წარმოგვიდგეს ის, ალბათ, დამაჯერებელი ნაბიჯებით მიგვიყვანს იმ დასკვნებამდე, რომელთა მეტაფიზიკური შედეგები ისევე შორს მიმავალია, როგორც დიდი სპეკულაციური სისტემებისა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ფილოსოფიური აზროვნების არსებითი თავისებურებაა ჭეშმარიტების ძიება. მაგრამ როდესაც არაპროფესიონალი დასკვნების გამოგონებელ მრავალფეროვნებას, მეტოდების წინააღმდეგობრიობასა და წანამძღვრების ბუნდოვანებას აწყდება, მან, შეიძლება, იგრძნოს, რომ ეს მიზანი ან განუხორციელებელია, ან, საუკეთესო შემთხვევაში, უფრო მისტიკური იმედია და არა სერიოზული მიზანი. რა თქმა უნდა, მკითხველი იტყვის, რომ, თუ არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა ფილოსოფიური კვლევა, რომელიც ეძიებს და ბადებს ჭეშმარიტებას, მაშინ უნდა არსებობდეს ფილოსოფიური პროგრესი, აღიარებული წანამძღვრები, დასაბუთებული დასკვნები; მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა არსებობდეს ურთიერთშემნაცვლებელი სისტემების ერთგვარი განუხრელი დაძველება, როგორც ეს თავს იჩენს ბუნებისმეტყველებაში, როდესაც ხდება ახალი შედეგების მიღება და მოძველებულის უგულებლყოფა. მაგრამ ფილოსოფიაში არაფერი ამგვარი არ ხდება; პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომებს ამჟამად ისევე სერიოზულად შეისწავლიან, როგორც ყოველთვის და მათი არგუმენტები თანამედროვე ფილოსოფოსმა ისევე უნდა შეისწავლოს, როგორც მათ ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსები შეისწავლიდნენ. მეცნიერს,

პირიქით, შეუძლია, დაინტერესდეს თავისი საგნის ისტორიით, მაგრამ შეუძლია, უამისოდაც იოლად გავიდეს ფონს. ის, ჩვეულებრივ, ასეც იქცევა ხოლმე. შეიძლება, თანამედროვე ფიზიკოსს არაფერი სმენოდეს არქიმედებზე, მაგრამ სრული წარმოდგენა ჰქონდეს თავისი საგნის ზოგად დასკვნებზე.

ამ სკეპტიციზმზე, შეიძლება, პასუხი გაიცეს იმის მტკიცებით, რომ ფილოსოფიაში პროგრესი არსებობს, მაგრამ ეს საკითხი რთულია. მისი წვდომა ადამიანის უნარების მაქსიმალურ დაძაბვას საჭიროებს. ამიტომ ეს ნელი პროგრესია. პასუხად, შეიძლება, მივიჩნიოთ ასევე მტკიცება, რომ საკითხის არსის გამო თითოეული მცდელობა ახალი სანყისი პუნქტია, რომელიც არავითარ მზა ჭეშმარიტებას არ ეთანხმება; ამასთან, მას მხოლოდ იშვიათად მიეყვართ დასკვნებამდე, რომლებიც უკვე რომელიღაც სხვაგვარი ფორმით, რომელიმე სხვა სისტემის ენით იყოს ჩამოყალიბებული. აქ სასარგებლოა ფილოსოფიის შეპირისპირება, ერთი მხრივ, მეცნიერებასთან და მეორე მხრივ, ლიტერატურასთან. როგორც უკვე ვთქვი, მეცნიერს შეუძლია, უგულვებლყოს ყველაფერი, გარდა თავისი საგნის ბოლოდროინდელი ისტორიისა და მაინც წარმოდგენდეს ექსპერტს თავის სფეროში. და, პირიქით, ადამიანი, რომელსაც სათანადო წარმოდგენა არა აქვს ფიზიკაზე (იმ ფიზიკურ სისტემაზე, რომელიც ამჟამად ჭეშმარიტად მიიჩნევა), მიუხედავად ამისა, შეიძლება, საგნის კომპეტენტური ისტორიკოსი იყოს, შეეძლოს მრავალი მოძველებული ჰიპოთეზისა და აზროვნების მრავალი მოძველებული ფორმის ინტელექტუალური წანამძღვრებისა და ისტორიული მნიშვნელობის კვლევა და განმარტება (ამგვარად, ამკარა ხდება, რომ მეცნიერება და მეცნიერების ისტორია ცალკეულ აკადემიურ დისციპლინებად გადაიქცევა, რომელთა ამოცანები ან შედეგები ერთმანეთს არ კვეთს).

ამასთან, რაც შეეხება ლიტერატურას, აქ სრულიად განსხვავებული ვითარებაა. ჯერ ერთი, ვერ ვივარაუდებთ, რომ ლიტერატურას პროგრესის იმანენტური ტენდენცია ახასიათებს, რადგან არ არსებობს მიზანი, რომლისკენაც ის შეიძლება მიისწრაფოდეს.

მეცნიერება, რომელიც ჭეშმარიტებისაკენ მიისწრაფვის, ყოველთვის ემყარება იმას, რაც უკვე დადგენილია და სრული უფლება აქვს, უკუაგდოს და გაანადგუროს ყველაზე დახვეწილი, დამაჯერებელი და მშვენიერი მეცნიერული სისტემა, ისე, როგორც კოპერნიკმა და გალილეიმ უარყვეს პტოლემეაიოსისა და არისტოტელეს კოსმოლოგია. აქედან გამომდინარე, ის, ვისაც არაფერი სმენია პტოლემეაიოსის ან თვით არისტოტელეს შესახებ, შეიძლება, მაინც უდიდესი თანამედროვე კოსმოლოგი იყოს. ლიტერატურაში, პირიქით, არის უდიდესი მიღწევები და ჩავარდნები, მაგრამ არ შეინიშნება განუზრელი მოძრაობა ერთიდან მეორისკენ. ამ ლანდშაფტის პერსპექტივა დროთა განმავლობაში იცვლება: უდიდესი მიღწევები, შეიძლება, დროთა განმავლობაში დაკნინდეს და (იშვიათად) ის, რაც დღეს უმნიშვნელოდ გვეჩვენება, შორეულ მომავალში, შეიძლება, უდიდეს მიღწევად იქცეს. მაგრამ არ არსებობს არავითარი პროგრესი, რომელიც გასცდება ჰომეროსს ან შექსპირს, არავითარი აუცილებლობა იმისა, რომ ადამიანი, როგორი ნიჭიერიც უნდა იყოს და როგორც უნდა გამოიტენოს ტვინი მთელი ადრინდელი ლიტერატურით, ისეთივე ან უკეთეს ნაწარმოებებს შექმნის; მან, შეიძლება, ვერც კი გაიგოს ნაკითხული.

გარკვეული მიმართულების ამ ამკარა არარსებობას უკავშირდება ლიტერატურათმცოდნეობის ორი მნიშვნელოვანი თავისებურება: ჯერ ერთი, შეუძლებელია ლიტერატურის ისტორიის შესწავლა ლიტერატურის არსის სრული წვდომის გარეშე და, მეორეც, ლიტერატურის შესახებ სრულ წარმოდგენას ვერ შევიქმნით მხოლოდ თანამედროვე ნაწარმოებების შესწავლის საფუძველზე. ისტორია და კრიტიკა აქ ერთმანეთს მსჭვალავს და ერთმანეთზეა დამოკიდებული. მეცნიერებაში ისინი იზოლირებულია.

ფილოსოფიას, როგორც ჩანს, შუალედური ადგილი უკავია მეცნიერებასა და ლიტერატურას შორის. ერთი მხრივ, მას, შეიძლება, ვიტგენშტაინის მსგავსად, სრულიად არაისტორიულად მიუდგე, უგულებელყო ნინამორბედ ფილოსოფოსთა მიღწევები და ფილოსოფიური პრობლემები იმგვარი ტერმინებით წარმოადგინო,

რომლებსაც არავითარი თვალსაჩინო კავშირი არა აქვს ამ საგნის ტრადიციასთან. ამ გაგებით, თანამედროვე ფილოსოფიის უდიდესი ნაწილი არაისტორიულია და ხშირად მას ეს სულაც არ ვნებს. ფილოსოფოსებმა შეძლეს, გამოეყოთ სხვადასხვა საკითხი, რომელთა განხილვისას სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ამ საკითხთა ბოლოდროინდელ გააზრებას და ამ გააზრების სრულყოფას. კონცეფცია წარმოიქმნება „საყოველთაოდ აღიარებული შედეგებისა“ და დინამიკისგან, რომელიც – იმის გამო, რომ ის პროგრესულია – თავს უფლებას აძლევს, არაისტორიული იყოს. ამასთან, ცოტაოდენი გამჭრიახობის წყალობით, ჩვეულებრივ, რომელიმე ისტორიული ფილოსოფოსის ნაშრომებში, შეიძლება, აღმოვაჩინოთ არა მარტო ახლახან შემუშავებული თვალსაზრისი, არამედ მის დასაცავად გამოყენებული არგუმენტების ერთგვარი საოცარი ასლიც. მაგალითად, ფილოსოფიის ისტორიაში არაერთხელ აღმოუჩენიათ, რომ უახლესი შედეგები ჯერ კიდევ არისტოტელეს მიერ იყო ნაწინასწარმეტყველესი და ეს აღიარებულ შეხედულებასთან დაკავშირებით ყოველთვის ახალი არგუმენტების, ახალი სიძნელებისა და ახალი კონტრარგუმენტების წარმოშობას იწვევდა, იქნებოდა ეს თომა აკვინელის სქოლასტიკური თეოლოგია, ჰეგელის რომანტიკული მეტაფიზიკა თუ თანამედროვე ლინგვისტური სკოლის მშრალი ანალიზი.

უფრო მეტიც: აშკარაა, რომ ძველ ფილოსოფოსთა ნაშრომების შესწავლა გარკვეული ფილოსოფიური კომპეტენციის გარეშე შეუძლებელია. წმინდა „ისტორიული“ მიდგომა ამახინჯებს როგორც დეკარტის ან ლაიბნიცის ფილოსოფიას, ისე შექსპირის პიესებს ან დანტეს პოეზიას. ამ ფილოსოფოსთა მოსაზრებების გასაგებად უნდა გავერკვიოთ პრობლემებში, რომლებსაც ისინი განიხილავდნენ და რომლებიც დღემდე ფილოსოფიურ კვლევათა პრობლემებად რჩება. ტრადიციული ფილოსოფოსების აზროვნების წვდომის თითქმის წინაპირობა, როგორც ჩანს, ისაა, რომ ისინი მათ მიერ განხილულ პრობლემებს გადაწყვეტილად არ მიიჩნევენ, ხოლო მიღებულ შედეგებს – საბოლოო შედეგებად. თუ მათ ამგვარად გან-

ვიზილავთ, ისინი დატოვებენ ცენტრალურ ადგილს ფილოსოფიის ისტორიაში (ისევე, როგორც პოეტს გამოვრიცხავთ ჩვენი ლიტერატურის კორპუსიდან, თუ თავის პრობლემებს ის ზედმინვნით პირად პრობლემებად მიიჩნევს). ამ აზრის განვითარებისას ძალზე მალე ვასკვნით, რომ ორ ფილოსოფოსს შეუძლია, მსგავსი შედეგები მიიღოს, მაგრამ საკუთარი შედეგები იმდენად განსხვავებულად წარმოადგინოს, რომ მათ თანაბარი ადგილი მიეკუთვნოს ფილოსოფიის ისტორიაში. ამგვარი ვითარებაა უილიამ ოკამთან და ჰიუმთან, ჰეგელთან და სარტრთან. ქვემოთ არაერთხელ წავაწყდებით ამ მოვლენას.

ახლა შესაძლებელია, გავავლოთ წინასწარი ზღვარი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს – ზღვარი ფილოსოფიის ისტორიასა და „იდეათა ისტორიას“ შორის. იდეას, შეიძლება, რთული და საინტერესო ისტორია ჰქონდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნებისმიერი ფილოსოფოსისთვის აშკარაა, რომ ამ იდეას არავითარი დამაჯერებელი ძალა არ აქვს (ასეთია, მაგალითად, წარმოდგენა, რომ ბევრი ღმერთი არსებობს). ასევე, იდეას, შეიძლება, ჰქონდეს სერიოზული ფილოსოფიური შინაარსი, მაგრამ მისი გავლენიანობა მომდინარეობდეს არა მისი ჭეშმარიტებისგან, არამედ ამ იდეის რწმენის სურვილისგან (ასეთია, მაგალითად, ცოდვის გამოსყიდვის იდეა). იმისთვის, რომ ფილოსოფიის ისტორიის ნაწილად იქცეს, იდეას უნდა ჰქონდეს არსებითი ფილოსოფიური მნიშვნელობა, შეეძლოს, აღუძრას თანამედროვე ადამიანს კვლევის სურვილი და რაღაც სადავოს ან ჭეშმარიტსაც კი წარმოადგენდეს. იმისთვის, რომ იდეათა ისტორიის ნაწილად იქცეს, იდეა ისტორიულ ზეგავლენას უნდა ახდენდეს ადამიანთა ცხოვრებაზე. ფილოსოფიის ისტორიამ უნდა განიხილოს იდეა მის დამამტკიცებელ არგუმენტებთან მიმართებაში და უგულვებლყოს ამ იდეის უფრო ვულგარული გამოვლინებები ან ამ იდეის წყაროები ფილოსოფიური თვალსაზრისით მდარე კონცეფციებში. რა თქმა უნდა, ფილოსოფიის ისტორიკოსს უფლება აქვს, შეისწავლოს კანტის ეთიკა და უგულვებლყოს ლუთერის „ნების მონობის შესახებ“, თუმცა, ისტორიული

თვალსაზრისით, პირველი მათგანი ვერ შეიქმნებოდა, მეორე რომ არ დაწერილიყო. ამგვარი მომენტების აღიარებისას ჩვენ იმასაც ვაღიარებთ, რომ საუკეთესო მეთოდი ფილოსოფიის ისტორიაში, შეიძლება, ენინაალმდეგებოდეს იდეათა ისტორიკოსის პრაქტიკას. ფილოსოფოსს, შესაძლოა, დასჭირდეს იდეის ამოგლეჯა კონტექსტიდან, რომელშიც ის ჩაფიქრებულ იქნა და მოუხდეს მისი პარაფრაზირება მარტივი და გასაგები ენით, უბრალოდ, მისი ქეშმარიტების შესაფასებლად. ასეთ შემთხვევაში ფილოსოფიის ისტორია არა ისტორიულ, არამედ ფილოსოფიურ დისციპლინად იქცევა.

მაშასადამე, თუ ფილოსოფიის ისტორიკოსი ზეგავლენას ახდენს, ეს ზეგავლენა გამომდინარეობს არა ემოციური ან პრაქტიკული მიმზიდველობიდან, არამედ იდეათა დამაჯერებლობიდან. ამიტომ ჰიუმისა და კანტის ზეგავლენას უდიდესი ფილოსოფიური მნიშვნელობა ექნება, მაშინ, როდესაც ვოლტერისა და დიდროს ზეგავლენა შედარებით უმნიშვნელოდ უნდა მივიჩნიოთ. იდეათა ისტორიკოსისთვის ამ ოთხი მოაზროვნეიდან თითოეული მიეკუთვნება უდიდეს ერთიან მოძრაობას, რომელსაც „განმანათლებლობა“ ეწოდება და მათი ზეგავლენა განუყოფელ მთლიანობას წარმოქმნის ადამიანთა ცხოვრებაში, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა დამაჯერებლობას, არამედ – მამოძრავებელ ძალას.

ზოგჯერ იდეათა ისტორიკოსი და ფილოსოფიის ისტორიკოსი აზრთა ერთსა და იმავე სისტემას შეისწავლიან; მაგრამ ეს წინააღმდეგობრივი ინტერესები იქნება, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ ინტელექტუალურ ცოდნას მოითხოვს. ისტორიული ზეგავლენა, რომელიც რუსოს „საზოგადოებრივმა ხელშეკრულებამ“ მოახდინა, უდიდესი იყო. ამ ზეგავლენის შესასწავლად საჭიროა არა ამ დოკუმენტის უკეთესი ფილოსოფიური გაგება, არამედ დაკვირვება იმათზე, ვისთანაც ეს ზეგავლენა ყველაზე ძლიერ იგრძნობა: მწერლებზე, განათლებულ ხელისუფლებზე, ხალხის ნამქეზებლებზე. მაგრამ საკითხი მისი ფილოსოფიური მიზნის შესახებ ცალკე საკითხია და ეს დოკუმენტი ფილოსოფიური თვალსაზრისით რომ გავიაზროთ, აუცილებელია მისი დასკვნების გაგება და ჩამოყა-

ლიბება მათი ჭეშმარიტების განსასაზღვრად. ამისთვის სხვაგვარი უნარებია საჭირო, ვიდრე იმ ადამიანებს აქვთ, რომლებიც ყველაზე ძლიერ ექვემდებარებიან დოქტრინის ზეგავლენას. მართლაც, შეიძლება, დავასკვნათ (არა ამ შემთხვევაში, მაგრამ ტომ პეინის „ადამიანის უფლებების“ შემთხვევაში ნამდვილად), რომ უდიდესი ისტორიული ღირებულების მქონე ფილოსოფიურ ნაშრომს მნიშვნელოვანი ადგილი არ უკავია ფილოსოფიის ისტორიაში.

წინამდებარე წიგნის კითხვისას მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს ეს განსხვავება ფილოსოფიის ისტორიასა და იდეათა ისტორიას შორის და აღიაროს, რომ ისტორია, რომელსაც ზოგადად დავახასიათებ, მართალია, შექმნილია, მაგრამ მან თვითონაც შექმნა თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნება. ამასთან, ჩემი მეთოდი მდგომარეობს არა იმაში, რომ სრულად გადმოვცე ფილოსოფოსთა არგუმენტები, არამედ იმაში, რომ ჩამოვაყალიბო ძირითადი დასკვნები, მათი ფილოსოფიური მნიშვნელობა და იმ მოსაზრებათა სახეობები, რომლებმაც აიძულეს მათი ავტორები, დაეცვათ ისინი.

2. თანამედროვე ფილოსოფიის წარმოშობა

ტრადიციამ, რომელიც დეკარტს „ახალი“ ფილოსოფიის ფუძემდებლად აღიარებს, არ უნდა გვაიძულოს, გადაულახავი ზღუდე აღვმართოთ XVII საუკუნის აზროვნებასა და იმ ყველაფერს შორის, რაც მას წინ უძღოდა და რამაც ის შესაძლებელი გახადა. დეკარტის არგუმენტების შედეგად ფილოსოფიის მეთოდი რადიკალურად შეიცვალა, მაგრამ მისი უმეტესი ნაწილი უცვლელი დარჩა. ამიტომ გასაკვირი არაა, თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე ფილოსოფიური იდეა შუა საუკუნეების მოაზროვნეებმა წინასწარ განჭვრიტეს რელიგიისა და ფილოსოფიის შერიგების ან მათი გამიჯვნის უამრავი მცდელობისას.

პლატონის, ისევე, როგორც მისი მოწაფისა და კრიტიკოსის, არისტოტელეს აჩრდილი თან სდევს ფილოსოფიას მთელი მისი ისტორიის განმავლობაში და, საბოლოო ანგარიშში, სწორედ მათ მიემართება თითქმის ყველა შუასაუკუნეობრივი პოლემიკა ამ საკითხთან დაკავშირებით. თითოეულმა მათგანმა სამყაროს ბრწყინვალე ინტელექტუალური და დრამატული ძალის მქონე არგუმენტები და კონცეფციები უანდერძა და სადაც უნდა წაეკითხათ ისინი, მათი ზეგავლენა ყველგან იგრძნობოდა. ხმელთაშუაზღვისპირეთის თითოეული მნიშვნელოვანი რელიგია – იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი – ან თავისი დოქტრინების ასიმილირებას ცდილობდა, ან ერთგვარი ალტერნატივის წარმოდგენას, რომელიც თანაბრად დამაჯერებელი და თანაბრად შესაბამისი იქნებოდა სამყაროს არსისა და მასში ჩვენი ადგილის ჩვენეულ ინტუიციურ შეგრძნებასთან.